

ჩამებაჲ ნმიდისა ჟრისტინასი*



წიგნი მეფისა ზე იყო ვინმე ქალი ქალწული, სახელი ერქუა მას **ჟრისტინა**. ჩმიდა იყო იგი და ღირს ქალაქსა მას შინა **ქუროს** და ეგულებოდა მას ქალწულებით დადგრომად. **წა** იყო მამაჲ მისი სპაჲმეტ და სახელი ერქუა **არბანოზ** და იყო იგი წარმართ და მტერ ჟრისტინანთა; და დედაჲ მისი იყო ნათესავი შარავანდედთაჲ. **წა** ესუა ამათ **ჟრისტინა**. **წა** იყო **ჟრისტინა** ნაქმევითა ფრიად კეთილ. **წა** უქმნა მამამან მისმან გოდოლი მაღალი და შეაყენა მას შინა, რაჲთამცა თაყუანის-სცემდა კერპთა. **წა** მრავალნი ითხოვდეს მას ცოლად, ხოლო მამამან მისმან თქეს: «არა ვაურევბდე ასულსა ჩემსა, რამეთუ ფრიად უყუარან მას კერპნი». **ხოლო** წმიდამან **ჟრისტინა**, იმრთისა ჩინებულმან, შთაისხის საკუმეველი ჳელსა და დადგის საარკუმელსა ზედა და იხედავენ აღმოსავალით კერძო და ხედავენ ცასა და ვარსკულავთა და განიზრახავენ გულსა თვსსა, სულთ-ითქუამნ და ტირნ ფრიად და არა შეწირა საკუმეველი შუდ დღჳ კერპთა მიმართ. **წა** ჰრქუეს მას მზარდულთა: «დედოფალო, დღეს შუდ დღჳ არს, ვინაჲთგან არა მოუღებეს კერპთა სამსახურებელი, ნუუკუე განგვრისხნენ ჩუენ და წარვწყმედეთ!» **შაშინ** მიუგო წმიდამან **ჟრისტინა**: «რაჲსა მეტყვთ მე, შეგინებულნო, კერპთა მათოვს უსულოთა, ბრმათა და ყრუთა, უტყუთა და უგუნურთა? **ჟამეთუ** აჰა ესერა ჩემი შუდი დღჳ არს, ვინაჲთგან შევსწირავ შესაწირავსა, ჭეშმარიტსა საკუმეველსა, იმრთისა მიმართ ზეცათაჲსა, **ჟომელმან** შექმნა ცანი და ქუეყანაჲ». **ხოლო** მზარდულნი იგი შესცვეს ფერჳთა მისთა და ჰრქუეს: «დედოფალო ჩუენო! რამეთუ ნიშანი შარავანდედთაჲ გაქუს, წეს არს შენდა შარავანდედებაჲცა, რამეთუ საცთური არს ესე იმრთისა უცხოჲსა მსახურებაჲ, რომელი ჩუენ არა ვიხილეთ, და თუ აგრძნის მამამან შენმან, წარგუნყმიდნეს ჩუენ, რამეთუ გურქუას, ვითარმედ «თქუენ ასწავეთ ესე მას!» **მაშინ** მიუგო წმიდამან ყრმამან **ჟრის-**

ტინა: «რაჲსა ესე შეცთომილ ხართ ეშმაკთაგან და კერპთაგან საძაგელთა? **წრამედ** თქუენცა მოვედით და თაყუანის-ეცით ზეცისა **შეუფესა** და იმერთსა!» და ამას იტყოდა ოდენ.

II. შო-ხოლო-ინია მამაჲ მისი ხილვად ასულისა თვსისა და თაყუანის-ცემად კერპთა დიდითა სიხარულითა. **წა** ვითარ შევიდა წინაშე კერპთაჲსა, მოელოდა **ჟრისტინას**, და არა მოვიდა წმიდაჲ იგი კერპთა მათ, არამედ ჯდა იგი საარკუმელთა ზედა და განისუენებდა და ხედვიდა იგი ძალსა იმრთისასა. **ხოლო** მზარდულნი იგი შევიდეს წინაშე მამისა მისისა და ჰრქუეს: «გევედრებით შენ, **ოფალო** ჩუენო, აჰა ესერა ცხრაჲ დღჳ არს, ვინაჲთგან არა შეწირა შესაწირავი კერპთა და არცა აღასრულა ლოცვაჲ». **შაშინ** უწოდა წმიდასა **ჟრისტინას** მამამან მისმან და ჰრქუა მას: «დედოფალო ჩემო და შვილო ჩემო! რაჲ გთნავს ანუ ვინ გაცთუნა შენ სხვსა იმრთისა მსახურებაჲ, რომელი-იგი **ჰურიათა** ჳუარს-აცუეს, რომელი-იგი ვერ შეენია თავსა თვსსა; და არა უწყია, შვილო ჩემო, რამეთუ შენ ხოლო მარტოჲ მივი? **წრამედ** შევედ და თაყუანის-ეც უძლეველთა იმერთთა!» **ხოლო** წმიდამან **ჟრისტინა** მიუგო და ჰრქუა მამასა თვსსა: «ნუ მხადი მე ამიერითგან შვილად შენდა, რომელი-ეგე აწ სთქუ, ხოლო მე შევწირო იმრთისა მსხურებელი ქებისაჲ და სიმართლისაჲ, ჭეშმარიტებისაჲ და სინმიდისაჲ, რამეთუ **შისა** შეუენის დიდებაჲ და პატივი უკუნითი უკუნისამდე».

ხოლო მამამან მისმან განიხარა, რამეთუ ჰგონებდა კერპთა მისთათვს, და ენება, რაჲთამცა ჰამბორს-უყო მას. **ჟალად-ყო** პატიოსანმან ყრმამან და ჰრქუა: «ნუ შეაგინებ პირსა ჩემსა, რამეთუ მნებაჲს წმიდად შეწირვაჲ **ოფლისა** იმრთისა ჩემისა». **ხოლო** მამაჲ იგი მისი შეცთომილ იყო სიტყუათა მის ყრმისათა, მიუგო და ჰრქუა: «დედოფალო ჩემო **ჟრისტინა**, ნუ ხოლო ერთისა იმრთისა შეწირავ, ნუუკუე სხუანი განგირისხნენ!» **ხოლო** წმიდამან **ჟრისტინა** ჰრქუა მას: «კეთილად სთქუ: შევწირო

* კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955. გვ. 183-196.

შამისა და ძისა და ჩმიდისა სულისა, რაათა სამებად იგი ერთბამად იდიდოს და შას მხოლოსა თაყუანის-ვსცე და ვაკურთხევდე, ჯომელი-იგი არს დიდებად ჩემი და ნათელი ჩემი და ჴგი არს ჭეშმარიტად შაცხოვარი ჩემი!» მერმე მიუგო მამამან მისმან: «შვილო, წმიდასა ხოლო იმერთსა თაყუანის-სცემ, სხუათა ამათ იმერთთა რად არა თაყუანის-სცემ?» ღოლო წმიდამან **ჩრისტინა** მიუგო: «არა გრცხუენისა, ურჩულოო, რამეთუ მე ვთქუ, ვითარმედ მწადოდა თაყუანის-ცემად ხეცათა იმრთისა, ხოლო სამებად იგი, რომელი ვთქუ, ჴრთლმრთეება არს, და რასა მაიძულებ მე მსახურებად უნდოთა იმერთთა? წწ მომართვ მე შესანიწრავი წმიდად, რაათა უძლეველად თაყუანის-ვსცე შამასა მას ხეცათასა და შევწირო შესანიწრავი, უსისხლოდ ძლუენი ჭეშმარიტი, რომელმან-იგი მაქმნიოს მე საქმწ კეთილი».

ღოლო მამასა მისსა ეგონა, ვითარმედ მსახურებასა კერპთასა იტყვს. შაშინ წარვიდა და მოუძლუანა მას, ვითარცა იგი ამცნო ასულმან მისმან. ღოლო წმიდამან **ჩრისტინა** ჰრქუა მოვლინებულთა მათ: «არქვთ აფალსა მას თქუენსა **არბანოზს**: მომიძლუანე მე სამოსელი წმიდად და უბიწო, რაათა განვიძარცო უღმრთეებად მწინკულევანებისა ჩემისა და შევიმოსო სამოსელი წმიდად და შევწირო შესანიწრავი წმიდად და უბიწოდ გულითა წმიდითა შეუფისა მის საუკუნოვსა. ჯომელმან მიწოდა მე, რაათა მლხინებელ მეყოს ურჩულოებათა ჩემთა, რომელ ვქმნენ, და მიწსნეს მე ურჩულოთა კაცთაგან და საძაგელთაგან კერპთა». ღოლო წმიდამან ქალწულმან შეიმოსა სამოსელი წმიდად და მივიდა სასუენებელსა თვსსა და დაჰწმა კარი და შეწირა მსხუერპლი და საკუმეველი წინაშე იმრთისა ყოველთაგანსა, თაყუანის-სცემდა და იტყოდა: «აფალო ჴესუ ჩრისტე, ძეო მიუნდომელისა იმრთისაო, ჯომელი მოივლინე უკუდავისაგან შამისა და შეიმოსენ ჴორცნი წმიდისაგან ჴალწულისა და დაითმინე სიკუდილი ჩუენთვს, რაათა ჩუენცა გულისწმა-ვყოთ და დავითმინოთ ჭირი შენთვს. წა აწ, აფალო ყოვლისა მპყრობელო, გევედრები შენ, რაათა ღირს-მყო მსახურებად იმრთეებისა ჴენისა მე ცოდვილი და მდაბალი და არაღირსი მწევალი ჴენი, რამეთუ ფრიად შეგცოდე უმეცრებითა; ნუ დამაგდებ მე, აფალო იმერთო ჩემო, და თანადამიდეგ მე, რაათა ყოველნი, რომელნი მოსლვად არიან ჩემ ზედა სატანჯველნი, ვსძ-

ლო და დავითმინე».

წა ვითარ ამას ილოცვიდა წმიდად **ჩრისტინა**, მოვიდა ანგელოზი აფლისა და დადგა წინაშე მისსა და ჰრქუა მას: «შეუგინებელო და წმიდაო, უბიწოო წმიდაო იმრთისაო! შეისმინა იმერთმან ლოცვისა შენისა, მწწე იყავნ და განძლიერდინ გული შენი სამთა მათ მთავართა ჴედა, რაათა იდიდოს შენგან ძალი ჩრისტწსი». ღოლო წმიდამან **ჩრისტინა** ჰრქუა ანგელოზსა მას: «აფალო ჩემო, მომეც მე იმრთისა ჩემისა ბეჭედი და არავისა მეშინოდის!» ხოლო ანგელოზმან მან მოიყვანა და მისცა მას ბეჭედი იგი ჩრისტწსი. წა ვითარ მიიქცა წმიდად **ჩრისტინა** მარჯუენით-კერძო, პოვა პური წმიდად სპეტაკი, და უტკბილწს იყო იგი უფროვს თაფლისა, და მისცა იგი ანგელოზსა მას და ჰრქუა: «აფალო ჩემო, მიიღე პური ესე, აკურთხე და მომეც მე ცხორებად საუკუნოვ და მოტევებად ცოდვათა ჩემთა, რამეთუ აჰა ესერა არიან მრავალნი დღენი, პურის გემოდ არა მიხილავს». ღოლო ანგელოზმან მან აკურთხა პური იგი და განტენა და მისცა მას პური იგი უკუდავებისა და ვითარ მოიღო, ხადოდა სახელსა შამისა და ძისა და სულისა ჩმიდისასა.

III. წა ვითარ დამწუხრდა, მოიხუნა კერპნი იგი: **წიოს** და **წპოლოს** და **წფროდიტე**, და დალენწა იგინი ძალითა ანგელოზისადათა და მოიხუნა და გარდამოსთხინა იგინი სამით კობითგან. წა ვითარცა დალენწა კერპნი იგი, განუყო ქველის-საქმარი გლახაკთა და აღწდა იგი გოდოლსა მას და ადიდებდა იმერთსა, და ვითარცა იყო ჟამი მოსლვისა მამისა მისისა და მოვიდოდა თაყუანის-ცემად კერპთა. წა ვითარ შევიდა, მიმოიხედვიდა და არა პოვნა კერპნი იგი, მოუწოდა მზარდულთა და ეტყოდა მათ: «ვიდრე წდეს კერპნი იგი?» ღოლო იგინი შეცვვეს ფერწთა მისთა და ჰრქუეს მას: «გევედრებით შენ, აფალო ჩუენო, ასულმან შენმან განტენწა და გარდამოსთხინა». შაშინ **არბანოს** განრისხწა ფრიად და მოუწოდა წმიდასა **ჩრისტინას** და უბრძანა ცემად პირსა მისსა, ჰკითხვიდა და ჰრქუა: «მითხარ, სადა დაჰმალენ კერპნი იგი? აკუეთუ არა მითხრა, გეფუცები მოწყალეთა იმერთთა, ჴორცნი შენნი მივსცნე მფრინველთა ცისათა და მწეცთა ქუეყანისათა». ღოლო წმიდამან **ჩრისტინა** მიხედწა და შეჰწერწყუა პირსა მისსა; ხოლო **არბანოს** უბრძანა მზარდულთა მათ თავთა მოკუეთად. ღოლო წმიდამან **ჩრისტინა** ჰრქუა:

«წარმართო უღმრთოო და ბრმაო კერპთაებრო, რად სიცრუით მაგათსა სისხლსა დასთხევ?»

ჟოლო მამად მისი განრისხნა და უბრძანა მისი განძარცუვად და ცემა. **შა** იცვალეობდეს მის ზედა ათორმეტნი მტარვალნი. **სსრტ** უყო **არბანოს** ასულსა თვსსა. ჟოლო მტარვალნი იგი დაცვეს ქუეყანასა ზედა. ჟოლო წმიდამან **ქრისტინა** ჰრქუა: «უპატიოო და ურცხვნო და უღირსო **არბანე!** მგუემელნი ესე ჩემნი უსუსურ იპოვნეს, უკუეთუ აქუნდეს ძალი კერპთა მაგათ, მსგავსთა შენთა, მისცენ ძალი მტარვალთა ამათ შენთა». **სანრისხნა არბანე** ფრიად და იურვოდა და დავარდა პირსა ზედა თვსსა, რამეთუ ესრტ იგინებოდა იგი ასულისაგან თვსისა, და უბრძანა დადებად ჯაჭვ ქედსა მისსა და ესრტ მიიყვანეს საპყრობილედ. **შა** წარვიდა **არბანე** და დაცა პირსა ზედა თვსსა, არცა ჭამა, არცა სუა ასულისათვს თვსისა. **სითარცა** ესმა დედასა მისსა, გარდაიპო სამოსელი თვსი და გარდაისხა ნაცარი თავსა თვსსა და მოვიდა საპყრობილედ და დავარდა ფერვთა თანა **ქრისტინას** და ეტყოდა: «შვილო ჩემო, შემინყალე მე, რამეთუ დედა შენი ვარ და რამეთუ მოგკუდები შენ ზედა, რამეთუ შენ ხოლო მარტო მივი და რამეთუ მე გშევ და ჩემითა ძუძუთა განგპოხე; რა არს ესე შენდა უცხოხსა იმრთისა მსახურება?» ჟოლო წმიდამან **ქრისტინა** აღალო პირი თვსი და ჰრქუა დედასა თვსს: «რამსამე ასულად შენდა მხადი ანუ რომელსა ნათესავსა შენსა **ქრისტინა** ერქუა? **სრა** უწყია, რამეთუ სახელ-მაც მე **ქრისტე**ს, **შაცხოვრისა** ჩემისა, და **სგი** არს მამად ჩემი და დედა ჩემი, რომელმან მაქმნიოს მე საქმს კეთილი და შემენიოს მე და ვსძლო ყოველთა, რომელთა არა იციან იმერთი, და დასცნეს ყოველნი კერპნი, რომელთა უმეცრებით ჰმსახურებთ». ჟოლო დედასა მისსა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე, წარვიდა სახიდ თვსა და უთხრა ესე ყოველი ქმარსა თვსსა. ჟოლო **არბანოს** განრისხნა.

IV. **შა** ვითარ დილეულ იყო, მოვიდეს სტრატოტნი იგი და მიიყვანეს წმიდა **ქრისტინა** ტაძრად, და ხედვიდა მას ყოველი იგი დედები აღბორკილებულსა ჴელით და ფერვით. **შა** უბრძანა მამამან მისმან წარდგინება მისი წინაშე კერპთა და ჰრქუა: «შეინყალე თავი შენი, **ქრისტინა**, რამეთუ შვილი ხარ ჩემი; შევედ და შეწირე მსხუერპლი, და უკუეთუ არა ინებო

თაყუანის-ცემად კერპთა, არა შეგინყალო შენ და არცა შვილად ჩემდა გრქუა შენ». **შა** შინ წმიდამან ყრმამან აღალო პირი თვსი და ჰრქუა: «დიდსა სიხარულსა მომცემ მე, უღირსო და მტაცებელი **არბანე**, რამეთუ ამიერითგან არაღარა ასულად ეშმაკისა მიწოდ, რამეთუ შენ ხარ მამად ეშმაკთა». ჟოლო **არბანოს** აღივსო გულისწყრომითა და უბრძანა განრთხმად მისი და გუემად ფრიად. **სითარ** მყოვარჟამ ჰგუემდეს და ვერას ავნებდეს, აღალო პირი თვსი წმიდამან **ქრისტინა** და თქუა: «გმადლობ შენ, **აფალო** იმერთო ჩემო, რომელი ხარ **სათა** შინა, რამეთუ ღირს-მყავ ესეოდენთა გუემათა; განწმიდენ ჴორცნი ჩემნი შეგინებისაგან!» და ჰრქუა მამასა თვსსა: «დაძულებულო დღეთა მათ ბოროტთაო! არა საწმარ არიან მტარვალნი ესე შენნი». ჟოლო **არბანოს** უბრძანა დამოკიდება მისი და ხუეტად გუერდთა მისთა. **შა** ვითარ ხუეტდეს, თავს-იდებდა წმიდა იგი და ნახუეტი ჴორცთა მისთა შესტყორცნა პირსა მამისა თვსისასა და ჰრქუა: «**შ** ბოროტთა დღეთაო! შენ გეტყვ, **არბანე**, შეჭამე ესე ჴორცთა ჩემთაგანი, ჭამე, ან ესერა წინა-გიც ჴორცთავე შენთაგანი, ურცხვნო!» ხოლო მან რქუა: «ან შევედ და თაყუანის-ეც კერპთა, უკუეთუ არა, მოვავლინნე სხუანი უფროსნი გუემანი ჴორცთა შენთა ზედა და არა განგარინოს შენ ჩემგან, რომელი-იგი მოკუდა **ჰურიათაგან**, **სომელი**-სა-იგი შენ ჰმსახურებ».

ჟოლო წმიდამან **ქრისტინა** აღიხილნა ზეცად და მშვდად განიცივნა და ჰრქუა მას: «მაყუედრებელ ხარ ყოველთა დღესასწაულთა ბოროტად; **შ** ბოროტად დანერგულო ნერგო ურჩულოო! არა უწყია, რამეთუ **სტ** იგი ცხოველისა იმრთისა, **სათელი** **სეშმარიტებისა**, გარდამოჭდა **ხეცით** და განგუაშორნა ჩუენგან ცოდვანი ჩუენნი და გუაცხოვნა ჩუენ? **შა** ან ვჰგმობ ურჩულოებათა შენთა და დავშრიტო ნათელი თუალთა შენთა». ჟოლო **არბანოზ** აღივსო გულისწყრომითა და უბრძანა მოღება ურმის თუალისა და დაკრვად მას ზედა წმიდა **ქრისტინა**. **შა** უგზებდეს ცეცხლსა ქუეშე ურმის თუალსა მას ფრიად და დაასხმიდეს მას ზედა ზეთსა, რამთამცა ადრე მოაკუდინეს, და ურმის-თუალსა მას აქცევდეს და შეიგაღნეს ჴორცნი ყრმისა წმიდისანი. ჟოლო წმიდამან **ქრისტინა** აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად, ილოცვიდა და იტყოდა: «გაკურთხევ **სენ**, **აფალო** იმერთო ჩემო, ნუ განმეშორები მწევალსა

შენსა და ნუცა დამაგდებ მე ღუანლსა ამას შინა, არამედ მოყავ ჴელი ჴენი და შეახე ჴორცთა ჩემთა და დაშრიტე, რომელი-ესე აღმაღლების ჩემ ზედა, რათა არა უხაროდის ჩემ ზედა უკეთურსა ამას **ირბანეს**.⁵ **შა** ვითარცა ესე თქუა, გამოვიდა ალი ცეცხლისაჲ მისგან და მოწყვდნა კერპთმსახურნი იგი კაცნი ხუთასნი, ხოლო წმიდაჲ **ჴრისტინა** ეგრეთ განისუენებდა, ვითარცა ცხედარსა ზედა გარდაგებულსა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.

V. **ჴოლო ირბანოს** უბრძანა გარდამოჴსნაჲ მისი და წარდგინებად სცა წინაშე კერპთა და ჰკითხვიდა მას: «მითხარ მე, **ჴრისტინა**, ვინ გასწავა გრძნებაჲ ეგე? **წღმიარე**, უკუეთუ არა, ვერ განერე ველთაგან ჩემთა». **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა** ჰრქუა: «მკვდრო ყოველთა სატანჯველთაო, ვისგან ვისწავე, რომელსა-ეგე შენ იტყვ, ბილწო კაცის-მჭამელო, მატლო? **წრა** გითხრა, ვითარმედ მამაჲ ჩემი **ჴრისტე** არს, **ჴომელმან** მასწავა მე და მომცა ესე მოთმინებაჲ და **ღე** არს სიხარული ჴირვეულთაჲ და სასოჲ ყოველთაჲ, რომელნი ხადიან მას. **წმისთვს** არცხვნოს შენთა მაგათ ურჩეულოებათა და ვსძლო ყოველთა, რომელთაჲ იყოს-ლა თუ რაჲმე მამისა შენისა სატანაჲსი». **ჴოლო** იგი აღივსო გულისწყრომითა და განიზრახვიდა, რომლითაჲი ღონითა წარწყმიდოს იგი. **შა** ბრძანა მისა საპყრობილედ მიცემად. **ჴოლო** ყრმაჲ იგი ჯდა საპყრობილესა მას შინა და ინურთიდა სიტყუათა იმრთისათა და მოვიდა მისა კრებული ანგელოზთაჲ და მოართუეს მას სადილი ცხორებისაჲ და განჰჴურნეს ყოველი წყლულებაჲ მისი.

ჴოლო წმიდამან **ჴრისტინა** აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად, ჰმადლობდა და იტყოდა: «**ოფალო** მოწყალეო და მწყალობელო, ვაქებ სახელსა **ჴენსა** წმიდასა, რამეთუ მომიჴსენე მე, არალირსი ესე მჴევალი ჴენი; ვცან, **ოფალო**, ყოველთა გულთა მეცნიერო, რამეთუ დიდსა გუემასა შინა ვიყავ, ამისთვს მომიძლუანე საჴურნებელად საჭმელი ესე». **შა** ვიდრე იგი ღამე-ლა იყო, მიავლინა **ირბანოს** ხუთნი მონანი და უბრძანა გამოჴმად ღოდისა დიდისაჲ ყელსა მისსა და შთაგდებდა მისი ზღუასა. **შა** ვითარ შესუეს იგი ნავსა, მიიყვანეს იგი ღრმასა ადგილსა და გარდააგდეს ზღუად. **შა** მეყსეულად ანგელოზთა აღიპყრეს იგი და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად, ილოცვიდა და თქუა: «**ოფალო**

ესე **ჴრისტე**, რომელმან არა წარსწყმიდნი, რომელნი ხადიან სახელსა შენსა წმიდასა. **შა** ანცა აჩუენე საჴურველებაჲ შენი და წყალთა ამათგან პატიოსანთა ბრძანე ჩემი განახლებაჲ და მოლებად ჩემდა ნათელი უკუდავებისაჲ, და ნათელ-მეც მე, **ოფალო** **ესე** **ჴრისტე**, ნათლითა მით სინმიდისაჲთა, ბრწყინვალეობითა ჴეშმარიტებისა შენისაჲთა». **შა** ვითარ ამას იტყოდა წმიდაჲ **ჴრისტინა**, მეყსეულად გარდამოჴდა ღრუბელი ნათლისაჲ ზეცით.¹⁰

VI. **შა** მერმე ვიხილე მე, **ჴრისტინა**, **ძე** იმრთისაჲ, **ესე** **ჴრისტე** და ედგა გვრგვნი თავსა მისსა, და იყო იგი სამკაულითა ბრწყინვალითა და შეუდგეს მას ანგელოზთ-მთავარნი და უგალობდეს მას. **ჴოლო** მე, **ჴრისტინა**, ვითარ ვიხილე დიდებულებაჲ იგი, შემეშინა ფრიად და ვევედრებოდე დიდებულსა მას მოსლვასა. **შა** მოვიდა ჩემდა **ჴეუფე** იგი საუჴუნოჲ და დამდვა თავსა ჩემსა ველი მარჯუენს და მრქუა მე **ჴაცხოვარმან** ყოველთამან: «**ჴე** ვარ **ჴამა** შენი, **ესე** **ჴრისტე**, რომლისათჳს-იგი შენ გსუროდა და მხადოდე **ჴამად** შენდა და მოვედ ნათლის-ცემად შენდა, უბიწოო ყრმაო!» და აღმიღო მე **ჴემან** იმრთისამან და ნათელ-მცა წყალთა მათ შინა და მრქუა: «მე ნათელს-გცემ შენ, **ჴრისტინა**, იმრთისა მიერ **ჴამისა** და **ხე**-მგან, **ძისა** **ჴისისა**, და **სულისა** **ჩმიდისა**». **შა** მიმცა მე **ჴიქაელს** ანგელოზთ-მთავარსა და ჰრქუა მას: «მიიყვანე **ჴრისტინა** და მოეც მაგას ბეჴედი ჩემი და ყავ ეგე ნათლითა შემოსილ». **შა** გამომიყვანა მე ზღვთ და დამადგინა მე ჴუეყანასა ზედა. **შა** ვითარ აღვიხილნე თუალნი ჩემნი ზეცად, ვიხილენ **ჯანი** განხუმულნი, და შევიდა **ჴაცხოვარი** ყოველთაჲ და მეყსეულად გან-ხოლო-თენა ღამე; ვდეგ და თაყუანის-ვსცემდ **ოფალსა**.²⁵

VII. **შა** ვითარ გამოვიდა **ირბანე** ტაძრით თჳსით, მიხილა მე მდგომარჴ და შეჰჴკრდა გონებასა თჳსსა და ჰრისხვიდა მონათა თჳსთა, რომელთა შთამაგდეს მე, და ბრძანა შეჴყრობაჲ ჩემი და მიყვანებაჲ ტაძრად და მრქუა მე: «მითხარ, **ჴრისტინა**, რომლითა გრძნებითა მეუფლები, რამეთუ ზღუაჲცა შეჰგრძნობე». **ჴოლო** **ჴრისტინა** ჰრქუა: «უღირსო და ბრმაო! არა მხედავა, რამეთუ მე მომიღებიეს იმრთისა ჩემისაგან მადლი ამას ღამესა და განვახლდი **ჴამისა** ჩემისა **ჴრისტესგან**, **ჴომელმან** დაგცეს შენ და შთაგხადოს გეჴენიასა შინა გარესკენელისასა? **შა** ვესავ **ჴრისტესა**, რამეთუ

განმზადებულ არს შენდა სიკუდილი და არლ-
 არა მოინიოს ჩემ ზედა ჯელი შენი». ჯანრისხნა
ორბანოს და უბრძანა შეყვანება მისი საპყ-
 რობილედ ხვალისამდე და თავისა მოკუეთაჲ.
 ღოლო წმიდამან **ქრისტინა** აღიხილნა თუალნი
 თვსნი ზეცად, ილოცვიდა იმრთისა მიმართ
 და თქუა: «ძეო იმრთისა ცხოველისაო, უბი-
 ნოო, უხრწნელო, წმიდაო, მიაგე **ორბანეს** ამას
 ღამესა, რამეთუ ურჩულოებს მვევალსა შენსა
 ზედა და მაშინებს მე სიკუდილად ხვალისა». 10
 შა მიიქცა საპყრობილედ და ჰმსახურებდეს
 მას ანგელოზნი იმრთისანი. ღოლო მამასა მის-
 სა **ორბანოზს** მრავლითა გუემითა წარჰდეს
 სულნი მას ღამესა. ღოლო, წმიდასა **ქრის-
 ტინას** ვითარცა ესმა, რამეთუ მოკუდა **ორ-
 ბანოს**, ილოცვიდა და თქუა: «გმადლობ შენ,
 მამასა ჩემსა შესუ ქრისტესა, რამეთუ ისმინე
 ჩემი, მვევლისა შენისაჲ, და დაანთქ მტერი
 ჩემი ბნელსა მას გარესკნელსა და შემინყალე
 მე, ყრმაჲ ესე, რაჲთა ვადიდებდე და ვაქებდე
 სახელსა შენსა ძლიერსა უკუნითი უკუნისამ-
 დე. ომჴნ».

VIII. შა ვითარ ჟამნი იგი **ორბანოზსნი** წარჴ-
 დეს და სხუად მთავარი დადგა ადგილსა მისსა,
 სახელი ერქუა **ბიოს**, და იგიცა იყო მრისხანე 25
 და კერპთა-მსახურ. შა უთხრეს მას მოთმინე-
 ბად იგი **ქრისტინაჲსი**. შა ვითარ ესმა მთა-
 ვარსა მას, განიზრახვიდა გულსა შინა თვსსა
 და თქუა მოყვანებაჲ **ქრისტინაჲსი**. შა ვითარ
 იხილა იგი მთავარმან მან, იწყო მისა ქებად
 და ჰრქუა: «ყრმაო, აზნაური ხარ და ნათესავი 30
 შარავანდედთაჲ; ვითარ დაუთმე დიდსა ჭირსა
 და ურვასა და რაჲ საცთური მოინია შენ ზედა
 და დაუტევენ მოწყალენი კერპნი და ჰმსახ-
 ურებ ჴაცსა დევნულსა ქალაქითი-ქალაქად,
 და ვისმე ჯელ-ენიფების შენვენად შენდა? 35
 ონ თაყუანის-ეც კერპთა, რომელთა ჰმსახურე-
 ბენ ყოველნი დაბადებულნი და, უკუეთუ არა
 ჰყო ბრძანებაჲ ესე ჩემი და მასვე გონებასა
 ზედა დაადგრე, გეფუცები შენ იმერთთა ჩე-
 მთა, მძიმჴ საღმობად და საშველი მოვანიო
 შენ ზედა და ვერ განგარინოს შენ **აფალმან**
 შენმან, რომელსა ჰმსახურებ». ღოლო **ქრის-
 ტინა** მეყსეულად აღიხილნა თუალნი თვსნი
 ზეცად და ჰრქუა მას: «რაჲ არიან სიტყუანი 45
 შენნი საძაგელნი, მთავარო, რომელთა-ეგე შენ
 ჰგონებ? ჴერ შემიძლო მე შეძრწუნებად, ვი-
 თარმცა დაუტევე მე ზეცისა **აფალი** და ძჴ
 შისი შესუ ქრისტჴ, ჴომელი-იგი თანამიდაჲ

მე ყოველთა ამათ სატანჯველთა, რომელ-
 ნი-იგი მოვიდეს ჩემ ზედა ჯელთაგან ურჩუ-
 ლოჲსა მამისა ჩემისათა». შაშინ განრისხნა
 მთავარი იგი და ბრძანა განძარცუვად მისი და
 ხუეცად გუერდთა მისთაჲ.

ღოლო წმიდამან **ქრისტინა** ჰრქუა: «მაგიო-
 ვემცა გუემითა განრყუნილ არს პირი შენი,
 საძაგელო კერპთა შენთაებრო, არა გრცხუენი-
 სა, რომელ-ესე სამღერელნი სატანჯველნი
 10 მოანიენ ჩემ ზედა, რამეთუ ვესავ შაცხოვარსა
 ჩემსა ქრისტესა, ვითარმედ გარცხვნოს შენცა». 15
 ღოლო მთავარმან მან ჰრქუა: «თავს-ვიდებდე
 გინებათა მაგათ შენთა, ვითარცა ყრმისათა,
 რამეთუ გწყალობ შენ». ღოლო წმიდამან **ქრის-
 ტინა** ჰრქუა: «რაჲ გრქვან შენ სახელი?» შიუგო
 მთავარმან და ჰრქუა: «სახელისა ჩემისაჲ რაჲმე
 გნებაჲსა დასწავლებად: **ბიოს** მრქვან!» წმიდ-
 ამან **ქრისტინა** ჰრქუა: «სამართლად სახელ
 გაც **ბიოს** კერპისა მის უსულოჲსა». შაშინ
 განრისხნა მთავარი იგი და მოღებად სცა ნაძვ
 და დაგზებად ქუეშე მისა ფრიად და შთასხმად
 20 სცა ფისი და ნავთი და ზეთი, რაჲთამცა ადრე
 მოაკუდინეს იგი. ღოლო წმიდამან **ქრისტინა**
 აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად და თქუა:
 «გაქებ ჴენ და გადიდებ, შესუ ქრისტე, რა-
 მეთუ ღირს-მყავ განახლებად, ვითარცა ყრ-
 მაჲ მზარდულთაგან ფუფუნებული». ღოლო
 მთავარმან მან მიუგო და ჰრქუა: «ხედავა, რა-
 ვდენსა თავს-იდებენ კერპნი და არა შეგეხების
 30 შენ ცეცხლი? ონ შევედ და ევედრე, რაჲთა
 გილხინონ შენ ცოდვათა შენთა!» ხოლო წმი-
 დამან **ქრისტინა** ჰრქუა მას: «უღმრთოო და
 მღდელთ-მძარცუველო, ძეო ეშმაკისაო! არა
 მეშინის სატანჯველთაგან შენთა, რამეთუ ვე-
 35 სავ სახელსა იმრთისა ჩემისასა, რაჲთა შენცა
 მიგავლინოს ბნელსა მას გარესკნელსა, სადა
 ძმაჲ იგი შენი **ორბანოს** დაისჯების».

IX. შაშინ განრისხნა **ბიოს** და უბრძანა
 თავისა მისისა დაყუენად და გუერდთა მის-
 თა ცემად, რაჲთა ყოველი იგი ერი ხედვიდეს.
 ღოლო კრებული იგი ხედვიდა, ვითარ სამინე-
 ლად ჰგუემდეს მას. იალად-ყვეს ყოველთა
 და ჰრქუეს მთავარსა მას: «უსამართლო არს
 საშველი ეგე შენი!» ხოლო **ქრისტინა** აღიხილ-
 45 ნა თუალნი თვსნი ზეცად და თქუა: «შეუფეო
 ყოველთაო, გმადლობ ჴენ, რამეთუ ღირს-მყავ
 დღესა ამას!» და წარიყვანეს იგი საპყრობილედ.
 შა ვითარ განთენა, ბრძანა წარდგინებაჲ მისი
 წინაშე კერპთა და ჰრქუა მას: «თაყუანის-ეც

ჯოლონ კერპსა და შეგიწყალოს შენ». **ჯოლო** წმიდამან **ქრისტიანა** ჰრქუა: «რაისა შემიტყუვი მე, **წიოს** ურცხვნოო და უგუნურო, შემსგავსებული კერპთაო, ვერ განმცადო მე მწვეალი **ოფლისაჲ**». **ჯოლო** მთავარმან მან ჰრქუა: «რად-სათვს ესოდენ უპატიო-მყოფ და მაგინებ, არამედ შევედ და უგე ზეცისა იმერთთა!» **ჯოლო** წმიდამან **ქრისტიანა** ჰრქუა: «კეთილად სთქუ, უღმრთოო და უცხო-ქმნილო, ზეცისა შესლვად და თაყუანის-ცემად, რამეთუ **შან** **ძავად**მან თავს-მიდვას მე და დამიცვას მე ყოველთაგან ბოროტთა გუემათა შენთა». **ჯოლო** მთავარმან მან განიხარა ფრიად, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ შევიდეს იგი **ჯოლონისა** და თაყუანის-სცეს მას. **ჯოლო** წმიდამან **ქრისტიანა** აღიპყრნა ჯელნი თვსნი ზეცად და თქუა: «**ოფალო** იმერთო, **შამაო** **ოფლისა** ჩუენისა **ესე** **ქრისტესო**! ისმინე მწველისა შენისაჲ, რომელმან შეჰქმენ ყოველივე ერთითა სიტყვთა, და ბრძანე, **ოფალო**, კერპისა ამის გარე გამოსლვაჲ, რომელსა მრავალნი სულნი წარუწყმედიან». **შა** ვითარცა ესე ლოცვაჲ წართქუა, დიდითა ჯმითა ჰრქუა კერპსა მას: «შენ გეტყვ, კერპსა უსულოსა, სახელითა **ქრისტესითა** გამოვედ მაგიერ ბაგინით და ორმოც ფრასას წარმოდეგ!» და გამოვიდა კერპი იგი და დადგა, სადაცა უბრძანა წმიდამან **ქრისტიანა**. **ვითარცა** იხილა **წიოს** სასწაული ესე, შეძრწუნდა დიდითა შიშითა და ჰრქუა წმიდასა მას: «გრძნეულეზანი შენნი ყოველსა ერევიან, ანუ ეგრე ჰგონება, ვითარმედ შენ გამოჰხადე დიდსა ამას იმერთსა? **წმისთვს**, რამეთუ ეწყალი შენ და კაცთ-მოყუარე არს შენ ზედა, რამეთუ მისი დაბადებული ხარ შენ, **ქრისტიანა**!»

ჯოლო წმიდაჲ იგი შენუხნა და ჰრქუა: «მტაცებელი მონათა იმრთისათაო! ბოროტსა საქმესა შესდგებია, ურწმუნოო და დაბნელებული, ვითარ არა გრწამს სასწაული ესე იმრთისაჲ? **ესე** იმერთსა ჩემსა მე მდაბალი ესე **ქრისტიანა**, რამეთუ ან შეიმუსროს კერპი ეგე შენი და იქმნეს, ვითარცა მტუერი». **შა** ვითარცა ესე თქუა, ილოცვიდა უფლისა მიმართ და თქუა: «იმერთო და **შამაო** **ოფლისა** ჩუენისა **ესე** **ქრისტესო**, **ქომელი** შეენვეი ყოველთა, რომელნი გესვენ შენ! ბრძანე ამის კერპისა დაცემად და იქმნეს ესე, ვითარცა მტუერი კალოდსა, რამეთუ ესავს მტაცებელი ესე ძალსა ამის უსულოდსა». **შა** ვითარ ილოცვიდა წმიდაჲ იგი, მეყსეულად დაეცა და იქმნა ვითარ-

ცა მტუერი **ჯოლონ** კერპი. **ჯოლო** კრებულსა მას წარმართთასა შეეშინა ფრიად და მოიქცეოდეს და ღალადებდეს უფლისა მიმართ და იტყოდეს: «იმერთო ზეცისაო, იმერთო ნათლისაო, იმერთო ამის ყრმისაო! ბრძანე ჩუენ ზედა წყალობაჲ **ჟენი**, რადთა ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად ნათელსა მას ჭეშმარიტებისასა». **შა** ჰრწმენა კაცებსა მას იმერთი, **ჯოლო** შეეშინა მთავარსა მას და იტყოდა: «რადმე ვყო, უკუეთუ მიესმეს მეფესა **ჯოლონისთვს**, რამეთუ გრძნებითა **ქრისტიანასითა** შეიმუსრა, ბოროტად წარმწყმიდოს მე». **შა** ფრიად ზრუნვიდა და სულნი წარვდეს მას. **შაშინ** ბრძანა თანამჯდომელმან მისმან წმიდისა **ქრისტიანასი** საპყრობილედ მიცემაჲ. **ჯოლო** წმიდასა მას უხაროდა ფრიად და უგალობდა იმერთსა და იტყოდა: «ჭეშმარიტად სული ჩემი, ვითარცა სირი, განერა».

ქ. **წმისა** შემდგომად დადგა **ველიანოს** და იგიცა სდევნიდა **ქრისტიანეთა** და, რა ჟამს მივიდა ტაძრად, უთხრეს მას სიმწმე იგი **ქრისტიანასი** და, ბრძანა **ველიანოს** მოყვანებაჲ მისი წინაშე ბომონსა მას და ჰრქუა: «**ქრისტიანა**, ვითარ სცეთ და ესოდენტა სატანჯველთა დაუთმე გრძნებითა შენითა? **წმ** შევედ და თაყუანის-ეც ღმერთთა და შენირე მსხუერპლი, და უკუეთუ არა ჰყო ბრძანებაჲ ჩემი, მრავალნი სატანჯველნი მოვანინე შენ ზედა, და ვითარ იხილნე, სწოდი და ვერ განგარინოს შენ იმერთმან, **ქომელსა** შენ ესავ, რომელი **შარიამისაგან** იშვა». **ჯოლო** წმიდამან **ქრისტიანა** აღალო პირი თვსი და თქუა: «რად ეგრე იტყვ ბოროტსა, **ველიანე**, შემწეო ეშმაკთაო და მტურო იმრთისაო! **წრა** მეშინის მე, მოჰხადენ ჩემ ზედა ზარის-ასახდელნი იგი სატანჯველნი». **ჯოლო** **ველიანე** ბრძანა აღგზნებაჲ თორნისაჲ სამ დღე და შთააგდეს მას შინა, და დაგოზად სცა ზედა და გზნებად ხუთ დღე, **ჯოლო** წმიდაჲ იყო საჭუმილავსა მას შინა ანგელოზითურთ და უგალობდა იმერთსა და ჯმაჲ გამოვიდოდა მიერ საჭუმილით და ესმოდა სტრატოტთა და შეეშინა ფრიად. **შივიდეს** და უთხრეს **ველიანეს**. **შა** ვითარ ესმა **ველიანეს**, უბრძანა აღებაჲ თორნისაჲ და იპოვა წმიდაჲ იგი, ვითარცა აბანოთ გამოსრული, და მიიყვანეს იგი მასვე ბომონსა, და ჰრქუა **ველიანე**: «მითხარ მე, **ქრისტიანა**, და აღმიარე გრძნეულებაჲ შენი, რამეთუ ყოველი გრძნებაჲ შენთანა არს; უკუეთუ არა აღმიარო და არა

შეხვიდე და თაყუანის-სცე კერპთა, დიდნი სა-
ტანჯველნი მოვანიწე შენ ზედა». შიუგო წმი-
დამან **ჴრისტინა**: «**ვლიანე** ბოროტისა მგლისა
სახელი-გაც, ურჩულოო და მტაცებელო, არა
მეშინის მე თქუმათაგან შენთა, რამეთუ მივის
მე იმერთი **ჯათა შინა**».

ნა უბრძანა **ვლიანე** გუელთა მსახურსა
მიტევებად ორთა ასპიტთა და ორთა იქედნ-
ეთა და ორთა გუელთა და ჰრქუა **ჴრისტინას**:
«ამათ გუელთაჲცა უკუე შე-ვე-უძლოა მოგუ-
ნაჲ?» **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა** ჰრქუა მას:
«ურწმუნოო საღმრთოსა ზედა ძალსა, ვესავ
იმერთსა ჩემსა, **ჴომელი-იგი** თანა-მიდგეს მე,
შემენიოს მე მვეცთა ამათ ზედა». ნა მორბიო-
დეს ორნი იგი ასპიტნი და მოეხვნეს ფერჯთა
და მოჰლოშნიდეს მტურსა მისსა. შირბიო-
დეს ორნი იგი იქედნენი და მოეხვნეს ძუძუთა
და მოჰლოშნიდეს, ვითარცა ყრმაჲ რაჲ წოვნ
ძუძუსა. შივიდეს ორნი იგი გუელნი და მო-
ეხვნეს ყელსა და ლოჰშნიდეს ოფლსა პირისა
მისისასა. **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა** აღიხ-
ილნა ზეცად თუალნი თჳსნი და ცრემლოო-
და და ჰმადლობდა იმერთსა. **ჴოლო** **ვლიანე**
შეჰრისხნა გუელთ-მსახურსა მას და ჰრქუა:
«შენცა შე-ვე-სულბია? შივედ და ჰზრახევდ
გუელთა, რაჲთა მიეახლნენ და მოკლან იგი».
ჴოლო კაცი იგი მივიდა და ჰზრახვიდა გუელ-
თა მათ; და მიუჭდეს გუელნი იგი და მოკ-
ლეს იგი, და მიერიტგან არღარავინ იკადრა
მიახლება მისა, რომელმანმცა გამოიყვანა
მვეცნი იგი მისგან. **ჴოლო** წმიდაჲ **ჴრისტინა**
ილოცვიდა და ჰრქუა გუელთა მათ: «თქუენ
გეტყჳ, მვეცთა ქუეყანისათა, წარვედით ადგ-
ილსავე თჳსსა და ნუ ვის ავნებთ». ნა მეყ-
სეულად განეშორნეს მისგან. **ჴოლო** წმიდამან
ჴრისტინა აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად
და თქუა: «იმერთო ზეცათაო, **ჴომელმან** მო-
ავლინე **შხოლოდმოზილი ძჳ** ჰენი, **აფალი**
ჩუენი **ესუ ჴრისტჳ**, ისმინე მვეელისა შენისაჲ
ძალითა ჰენითა წმიდითა და მკლავითა ჰენითა
მტკიცითა და აღადგინე კაცი ესე მკუდარი,
რაჲთა იხილის ყოველმან ერმან დიდებაჲ შენი
და ადიდებდენ სახელსა ჰენსა, რამეთუ ჰენ
ხარ იმერთი ყოველთაჲ». ნა მეყსეულად იყო
ჴმაჲ ზეცით და თქუა: «**ჴრისტინა**, კურთხეულ
ხარ შენ დედათა შორის, ნუ გეშინინ, მტკიცე
იყავ, მე შენ თანა ვარ, ყოველი თხოვაჲ შენი
გეყავნ შენ». ნა მეყსეულად იყო ძრვაჲ დიდი
და მიეახლა მკუდარსა მას და დაჰბეჭდა მას

ზედა **ჴუარი ჴრისტჳსი** და ჰრქუა: «აღდეგ
სახელითა **აფლისა ჩუენისა ესუ ჴრისტჳსი-**
თა». ნა აღდგა მკუდარი იგი და ადიდებდა
იმერთსა და შეუვრდა წმიდასა **ჴრისტინას**.

XI. **ჴოლო** მთავარმან მან ჰრქუა წმიდასა
ჴრისტინას: «კმა არს შენდა, რამეთუ მაჩუენე
ყოველი გრძნეულებაჲ, მოვედ ან და შეუვრ-
დი იმერთთა, რომელთა თავს-უდებოე შენ». **ჴოლო**
ჴრისტინა ჰრქუა: «შიშსა შინა იმრთი-
სასა ვარ: საკრველთა მათ საქმეთა მისთა არა
ხედვიდეს თუალნი შენნი ბრძანი, ურცხვნოო».
ჴოლო **ვლიანე** განრისხნა და უბრძანა ძუძუთა
მისთა მოკუეთაჲ. **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა**
ჰრქუა: «გულქვაო და ყოვლისა ჭეშმარიტებისა
მტერო, გონებამიღებულო, ჰბრძანე ძუძუთა
ჩემთა მოკუეთაჲ, აჰა ესერა სისხლისა წილ სძჳ
დის». ნა აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და
თქუა: «გმადლობ ჰენ, **აფალი** იმერთო ჩემო,
რამეთუ ღირს-მყავ მე განწმედად ცოდვათა-
გან ჩემთა. **აწყი** ამიერიტგან, მზა ვარი მე ამ-
იერიტგან ღუანლისა ამას ჩემსა აღსრულებაჲ,
და მომეც მე გვრგვნი სიმართლისაჲ». **ჴოლო**
ვლიანე ბრძანა მისი საპყრობილესა შეგდებად.
ნა მივიდეს მისა მრავალნი აზნაურნი დედანი
ხილვად, რამეთუ ესმა ჭირი მისი, და მიიღეს
დიდი საფუფუნებელი წამალი, რაჲთამცა ჰკუ-
რნეს. ნა პოვეს წმიდაჲ იგი ცოცხალი, ჯდა
და ადიდებდა იმერთსა; და დაცვეს დედანი
იგი და თაყუანის-სცეს მას. **ჴოლო** წმიდაჲ იგი
ნუგეშინის-სცემდა მათ და მათ უკვრდა მოთ-
მინებაჲ იგი მისი და ჰრწმენა იმერთი შუდათვე
მათ დედათა.

XII. ნა ვითარცა განთენა, ბრძანა **ვლიანე**
მოყვანებაჲ წმიდისა მის; და ვითარ წარადგ-
ინეს იგი წინაშე კერპთა, ჰრქუა მას **ვლიანე**:
«ჟამი შენი აღსრულებულ არს, მოიქეც კერპ-
თა მიმართ, უკუეთუ არა, შევაბოკლნე დღე-
ნი შენნი». **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა** ჰრქუა
ვლიანეს: «ხედავა სულსა შენსა, რამეთუ ამ-
იერიტგან წარწყმდა და არა არს შენდა ლხ-
ინებაჲ?» **ჴოლო** **ვლიანე** არღარა თავს-იდვა
გინებაჲ იგი მისი და უბრძანა ენისა მისი-
სა აღმოკუეთაჲ. **ჴოლო** წმიდამან **ჴრისტინა**
აღიხილნა ზეცად და თქუა: «იმერთო, **ჴო-**
მელმან არა დამაგდე მე საშოთგან დედისა
ჩემისაჲთ, ძეო იმრთისაო, შემწეო ყოველთა
სულთაო! მომხედენ მვევალსა ჰენსა და ბრძანე
აღსრულებაჲ ასპარეზისა ამის, რამეთუ მოწ-
ვენულ არს ჟამი განყენებისა ჩემისაჲ». ყმაჲ

იყო ზეცით და თქუა: «წმიდაო და უბინოო! შრომაჲ შენი და მოთმინებაჲ ეგე შენი ჩემთვის სრულ არს; განხუმულ არიან ონი შენთვის და ყოველივე დიდებულებაჲ აკურთხევს შამასა და ძესა და ჩმიდასა სულსა შენთვის, რამეთუ ესევეითარნი ღუანლნი დაითმინენ და მართალნი იხარებენ სიმწნესა შენსა».

შა მერმე გარდამოჴდა ჴრისტე ზეცით და ჰრქუა: «მოვედ, ჴრისტინა, რამეთუ შამაჲ ჩემი იხარებს შენთვის, მიიღე გვრგვინი და სამძალი მოთმინებისა შენისაჲ». შა ჴმაჲ იგი ესმოდა **ველიანეს** და ჰრისხვიდა ენისა აღმომკუეეთელსა მას. ღოლო წმიდამან **ჴრისტინა** მოიღო ნაკუეთი ენისა მისისა და შესტყორცნა პირსა მისსა და დააბრმო იგი. შა დიდითა მითა შესძინა **ჴრისტინა** და თქუა: «**ველიანე** უღირსო და დასაშჯელო ბნელსა შინა! გნადოდა საგალობელისა ჩემისა დადუმებაჲ და ჴამად ჴორცთა ჩემთაგან და მომკუეთე ენაჲ ჩემი, რომლითა ვაკურთხევდ სახელსა იმრ-

თისა ჩემისასა; სამართლად ნათელი შენი წარწყმდა, სიტყუაჲ იმრთისაჲ მოინია შენ ზედა და მიგიხუნა თუალნი შენნი». შითარცა ესმა ესე **ველიანეს**, უბრძანა ორთა ლახუროსანთა გურემაჲ, ერთსა გულსა და ერთსა გუერდთა. შა ვითარცა უგუმირეს, აღმოუტევა სული თვისი წმიდამან იმრთისამან **ჴრისტინა** თთუესა ივლისსა ოცდასამსა. შა მო-ვინმე-ვიდა ნათესავთა მისთაგანი, რომელსა ჰრწმენა იმერთი წმიდისა **ჴრისტინას** მიერ და აღიხუნა წმიდანი ნაწილნი წმიდისა მოწამისა **ჴრისტინასნი** და შექმნა სამარტვლოჲ ბაგინსა მას ზედა **ჯოლონისსა** და დაჰკრძალნა დიდითა სულნელებითა. ღოლო იწამა წმიდაჲ **ჴრისტინა** სამთაგან მსაჯულთა: **ბრბანოზისგან** მამისა თვისისა, **პიოსისგან** და ურჩულოჲსა **ველიანესგან**, და მეოხ არს ყოველთა მორწმუნეთათჴს წინაშე უფლისა ჩუენისა **ესუ ჴრისტცსა**, ჴომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისადმდე. **ამცნ**.

